საერთაშორისო პოლიტიკა და დიპლომატია

International Politics and Diplomacy

2. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი

საერთაშორისო პოლიტიკისა და დიპლომატიის მაგისტრი
MA in International Politics and Diplomacy

3. სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი

ზურაბ დავითაშვილი საერთაშორისო ურთიერთობების პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება.

4. სამაგისტრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

მიზანი:
სამაგისტრო პროგრამა საერთაშორისო პოლიტიკასა და დიპლომატიაში (MA in International Politics and Diplomacy) ამზადებს სპეციალისტებს, რომლებიც იცნობენ საერთაშორისო პოლიტიკის ძირითად თეორიულ მიდგომებს, პოლიტიკის, ეკონომიკის, სამართლის, სოციოლოგიის სფეროში თეორიულ ნააზრევს, თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკურ პროცესებს და დიპლომატიის თეორიისა და პრაქტიკის საფუძვლებს

შედეგი:
საერთაშორისო პოლიტიკისა და დიპლომატიის მაგისტრებს შეუძლიათ კვლევის ჩატარება და ანალიტიკური სამუშაოს შესრულება საერთაშორისო და საგარეო პოლიტიკის მიმართულებით. მათი სპეციალიზაციის სფეროები მოიცავს ნაციონალიზმს, გლობალიზაციას, საერთაშორისო პოლიტიკურ ეკონომიას, პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაციას, ევროკავშირის პოლიტიკას, ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების პრობლემებს, დიპლომატიის ისტორიას და თეორიას, დიპლომატიურ და საკონსულო სამართალს, დიპლომატიურ პრაქტიკას და პროტოკოლს.

დასაქმების სფეროები:
საერთაშორისო პოლიტიკისა და დიპლომატიის მაგისტრებს შეუძლიათ პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამეცნიერო სფეროებში კვლევითი მუშაობის გაგრძელება, აგრეთვე, სახელმწიფო და დიპლომატიურ სამსახურში, საზოგადოებრივ სექტორსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში პროფესიული სამუშაოს შესრულება.

5. სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები:

- საერთაშორისო პოლიტიკისა და დიპლომატიის სპეციალობით მაგისტრატურაში მისაღებად სტუდენტს ბაკალავრის ხარისხი სასურველია მიღებული ჰქონდეს შემდეგ სპეციალობებში: საერთაშორისო ურთიერთობები, საერთაშორისო სამართალი, პოლიტიკური მეცნიერება, ეკონომიკური და პოლიტიკური გეოგრაფია, საერთაშორისო ეკონომიკა, დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია.
- პროგრამაზე მიღებისას ყველა აბიტურიენტი სარგებლობს თანასწორი უფლებებით (სამეცნიერო კონფერენციებსა და ექსპედიციებში მონაწილეობის, საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში სტაჟირების და ა.შ. მიუხედავად).
- პროგრამაზე მისაღებად სამუშაო გამოცდილების ქონა სავალდებულო არაა.
- პროგრამაზე მიღებისას გამოცდა უნდა ჩატარდეს აუცილებლად წერითი სახით (ტესტი და ესე).
- მაგისტრანტს მოეთხოვება ინგლისური ენის B1 დონეზე ცოდნა, რომელშიც უნდა ჩატარდეს საკვალიფიკაციო გამოცდა.